საგარეო ვაჭრობის განვითარება საქართველოში

ნინო კოპალიანი, ნინო ეზუგბაია, კონსტანტინე რევია, ზურაბ ვარდიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი შეეხება საგარეო ვაჭრობის განვითარებას საქართველოში; მოკლედ მიმოიხილავს ბოლო წლების განმავლობაში ექსპორტ-იმპორტის დინამიკას, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს, საქართველოს საგადასახადო პოლიტიკას, ანგარიშსწორების ფორმებს საგარეო ვაჭრობაში, სავალუტო რისკების ჰეჯირებას და ვალუტის კურსის გავლენის ანალიზს ფასწაროქმნის პროცესზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, დაგვანახოს საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და ბოლო წლების განმავლობაში წინგადადგმული ნაბიჯები თუ შეთანხმებები, რომლებშიც ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისთვის წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA, რომელიც უკვე მოლაპარაკების ბოლო ფაზაში შევიდა. ასევე მოყვანილია სხვადასხვა სავაჭრო შეთანხმებები, რომელებშიც მონაწილეობს საქართველო და მათი მნიშვნელობა ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკითვის.

ნაშრომის ფარგლებში ასევე მოყვანილია კვლევის შედეგები, საქართველოს ბაზარზე ოპერირებულ რამდენიმე კომპანიის ფასწაროქმნის პროცესზე ვალუტის კურსის გავლენის ანალიზი. კვლევა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ, თუ რამდენად განვითარებულია ქართულ ბაზარზე სავალუტო რისკებისგან თავდაცვის მექანიზმები და რამდენად ეფექტურია ამ კომპანიების მიერ გამოყენებული მექანიზმები.

ნაშრომში მოცემულია ახალი პროექტები ლაზიკას და ფოთის ინდუსტიული ზონის სახით, რომლებიც ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზეა. თემაში განიხილულია ისეთი მნიშვნელოვან ფაქტორებ, როგორიცაა: 2008 წლის ომი და მისი გავლენა სავაჭრო პოლიტიკაზე.

მთლიანობაში ნაშრომი მოკლედ გადმოგვცემს საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის განვითარების დინამიკას და მასზე მოქმედ ძირითად მოვლენებსა და შეთანხმებებს.